ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N94

2021 წლის 16 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების პროგრამა“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

ა) მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია-დამკვიდრება;

გ) მოსახლეობის მაქსიმალური ინკლუზია ცხოვრების ჯანსაღ წესში და მის პროპაგანდაში.

მუხლი 2. ადმინისტრირება და კონტროლი

პროექტის ფარგლებში გასამართი მარათონის (მძლეოსნური გარბენი) ორგანიზებას ახორციელებს, ასევე მარშრუტსა და კილომეტრაჟს განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

აღნიშნულ მარათონში გარბენის შედეგების მიხედვით, გამარჯვებულის სახით გამოვლინდება და ფულადი პრიზით (100 (ასი) ლარი) დაჯილდოვდება რვა პირი: პირველ, მეორე და მესამე ადგილოსნები სქესთა ბალანსის დაცვით, ასევე უხუცესი და ნორჩი მონაწილე. მარათონის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცემა სიგელი, საიმიჯო (მუნიციპალიტეტის სიმბოლიკით ბრენდირებული) მაისური და კეპი.

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა.

მუხლი 5. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.